ბრძანება:**ბ134. 1342404739**
თარიღი:**16/02/2024**

მესტიის მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების ჩარჩო დოკუმენტის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის და მისი შემადგენლობის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის "ა" და „ბ“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“, „ა.ე“, „ე.გ“, „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და 2023 წლის 11 ივლისის N134-1342318858 წერილის შესაბამისად

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა“. მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა.

გაეროს გენერალური ასამბლეის A/RES/70/1 რეზოლუციით მიღებული 2030 წლის დღის წესრიგის შესრულებაში თანაბრად მნიშვნელოვანია ხელისუფლების ყველა დონის ჩართულობა. მდგრადი განვითარების ზოგიერთი მიზნის მიღწევა და რიგი ამოცანების შესრულება კი ექსკლუზიურად მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება. შესაბამისად, უაღწესად მნიშვნელვანია მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ აქტიური ნაბიჯები გადაიდგას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზებისათვის (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვისათვის), შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ძალადაკარგულად იქნას ცნობილი მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 11 ივლისის ბრძანება N134. 1342319210.

2. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი მესტიის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალური დოკუმენტის შესამუშავებლად შემდეგი შემადგენლობით:

2.1 ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ქეთევან ხარძიანი

2.2 ინფრასტრუქტურის,არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი - ლალი გულედანი

2.3 სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - სოფიო ჩხვიმიანი

2.4 ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურში მერის მრჩეველი - ლევან ჯაფარიძე

2.5 საფინანსო სამსახურის უფროსი - თეიმურაზ ნავერიანი

2.6 განათლების,კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვისა ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი - მაია ნაკანი

2.7 შესყიდვების სამსახურის უფროსი - ბექა მერლანი

2.8 შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი - ირინა ღვაჩლიანი

2.9 მუნიციპალიური ინსპექციის განყოფილების უფროსი - ლერი არღვლიანი

2.10 ა(ა)იპ-ი მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის დირექტორი - ირაკლი მიქიანი

2.11 ა(ა)იპ-ი სვანეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაცია ,,შანლენდი”-ს დირექტორი დავით ჟორჟოლიანი

3. ეთხოვოს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (საკრებულოს თავმჯდომარეს და/ან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს და/ან საკრებულოს წევრებს) და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა გამოყონ წარმომადგენელი (წარმომადგენლები) ამ ბრძანებით შექმნილ სამუშო ჯგუფშის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

4. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის **ადმინისტარციულმა** სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის, ასევე, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატისათვის შესაბამისი წერილობითი თხოვნის გაგზავნა.

5. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის **ადმინისტრაციულმა** სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება, მესტიის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებისათვის.

6. მესტიის მუნიციპალიტეტის **მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურისა და აგრეთვე ა(ა)იპ-ი მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის წარმომადგენლებმა** უზრუნველჰყოს მესტიის დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობის უზრუნველყოფა „მესტიის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალური დოკუმენტის“ საბოლოო ვარიანტის შემუშავებაში.

7. მესტიის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალური დოკუმენტის შესამუშვებლად შექმნილ სამუშო ჯგუფს უხელმძღვანელოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველმა ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების საკითხებში.

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ზუგდიდი,რევაზ ლაღიძის ქ.№12ა)

კაპიტონ ჟორჟოლიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი